# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 29 ივნისი, 2012 წელი.

№123 (6999)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ხელისუფლების „ინფლაცია“

## საარსებო მინიმუმს არჩევნების წინ პენსიების ოდენობას გაუტოლებენ?..

②



## უმრავლესობას წამოსცდა, რომ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება

### ყველაფერს — თავისი სახელი!

## მაკა ასათიანი უარს აცხადებს



მაკა ასათიანს „მაესტროს“ დაფინანსების შეწყვეტის სანაცვლოდ „მერსედეს ბენცის“ წარმომადგენლობაში პრობლემების მოგვარებას დაჰპირდნენ, რაზეც მაკა ასათიანმა უარი განაცხადა, — აღნიშნულის შესახებ ასათიანის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, რომელმაც ჟურნალისტებს მაკა ასათიანის მიერ გავრცელებული განცხადება გააცნო.

„რადგან სხვა არაფრის საშუალება არ დამიტოვეს, მინდა, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა. მარიონეტი დავით ძოწენიძის ხელით ჩემს მიმართ ყველა სამთავრობო და სახელისუფლებო რესურსის გამოყენებით მებრძვის იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, რომელსაც მერსედესში სიმშვიდის სანაცვლოდ უნდა შევწყვიტო ყველანაირი აქტივობა „მაესტროში“. მე მას და მის უფროსებს ღიად და პირდაპირ მივმართავ და ვეუბნები არას! ამასთან ვაფრთხილებ, რომ ჩემზე ასეთი ზეწოლის განხორციელების საშუალებას შეძლებისდაგვარად არ მივცემ და გავაგრძელებ უფრო მეტად და აქტიურად ტელეკომპანია „მაესტროს“ დაფინანსებას, რათა ის გაცილებით კარგად მაუწყებლობდეს“, — ნათქვამია მაკა ასათიანის განცხადებაში.

## ფონდ „ქომაგის“ ხელმძღვანელი ია მეტრეველი დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს





როგორც ია მეტრეველი აცხადებს, პოლიციაში დაკითხვაზე ის პირები დაიბარეს, რომლებმაც ფონდ „ქომაგს“ დახმარებისთვის მიმართეს. მისი თქმით, 12-მდე ადამიანმა მიიღო უწყება, მათი მოწმის სტატუსით დაკითხვასთან დაკავშირებით. ამ ადამიანების ნაწილმა თანხები უკვე მიიღო, ნაწილს კი ჯერ არ ჩარიცხვია.

მისივე თქმით, ფონდი ასევე მიმართავს სახალხო დამცველს, პოლიტიკურ პარტიებს, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, თანადგომა აღმოუჩინონ ამ ხალხს. მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ ფონდ „ქომაგის“ მიერ დარეგისტრირებული მოქალაქეების საბანკო ანგარიშებზე ბოლო დღეებში უცხოეთიდან თანხების საეჭვო ვითარებაში გადმორიცხვის მრავალი შემთხვევა გამოვლინდა. მათივე ცნობით, მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ აშკარაა ამომრჩევლის მოსყიდვის ახალი სქემა, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობენ პარტია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ვანო ჩხარტიშვილი და მისი ოფშორული კომპანიები.

„თანხების გადმორიცხვა ხდებოდა რამდენიმე უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ოფშორული კომპანიების ანგარიშებიდან ისე, რომ თითოეული გადმომრიცხავი თანხას ურიცხავს 5, 10 ან მეტ საქართველოში თანხის მიმღებ, ფონდ „ქომაგში“ დარეგისტრირებულ პირს. გადმომრიცხავი ფიზიკური პირები ნატალია კოზიუპა, კატრინა პავლოვა, რიჩარდ ჯეი ტეილორი და სხვები არიან ვანო ჩხარტიშვილზე ფინანსურად დამოკიდებული პირები, რომელთაც არანაირი კავშირი საქართველოსთან არ გააჩნიათ“, — აღნიშნულია განცხადებაში. პროკურატურის ცნობით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მოწმის სტატუსით გამოძახებული არიან აღნიშნული თანხების მიმღები პირები. „მათი დაკითხვა იწარმოებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მათი სურვილის შემთხვევაში დაკითხვის პროცესს დაესწრებიან ადვოკატები“, — აცხადებენ პროკურატურაში.

ინტერპრესი

## განსჯისთვის და არა დასამოძღვრად

ბაგრატის აღდგენის გეგმაში ჰეროსტრატეს უკვდავების ნიშანიც ჩანს

③



ნაცები – საგონებელში

# უმრავლესობას წამოსცდა, რომ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება

**ზუსტად ვინ უთხრა ხელისუფლებას, რომ მოსახლეობისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება საარჩევნოდ მაინც არის აუცილებელი, ძნელი სათქმელია. მაგრამ ფაქტია, რომ ეს მითითება ვიღაცამ აშკარად მისცა და ამას თავად ხელისუფლების პოზიცია ადასტურებს, როდესაც ჯერ კატეგორიულ უარს ამბობდნენ ე.წ. „მასთ ქერის“ პრინციპის განხორციელებაზე და მეორე დღეს განაცხადეს, რომ საარჩევნოდ განხორციელდებოდა.**

პარლამენტი უკვე სათანადო კანონპროექტს იხილავს და სამივე მოსმენით იქნება მიღებული. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს კანონპროექტი რამდენიმე ისეთ ხარვეზს შეიცავს, რომლის გამოსწორების გარეშე ამ პრინციპის განხორციელება, თუნდაც მხოლოდ წინა საარჩევნო პროცესში, შედეგიანი ვერ იქნება.

ეს არის ტელეკომპანია „კავკასიის“ საკითხი, რადგან არსებული ფორმულირებით მისი მაუწყებლობის გავრცელება არ განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადგან სატელიტით არ მაუწყებლობს. ეს კი არასამთავრობო სექტორს დისკრიმინაციულად მიაჩნია.

პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ის იზიარებს ამ მოსაზრებას და მეორე მოსმენისთვის თუკი ფორმულირება იქნება მოძებნილი, თუ როგორ შეიძლება „კავკასიის“ მთელი ქვეყნის მასშტაბით ტრანსლირება მოხერხდეს, კანონში ჩაწერენ. არასამთავრობოები კი სთავაზობენ, რომ კრიტერიუმად განისაზღვროს მაყურებელთა რაოდენობა და, თუკი რომელიმე ტელეკომპანიას, რომელიც არ მაუწყებლობს სატელიტით და 20%-ზე მეტი მაყურებელი ჰყავს, საკაბელო მაუწყებლებს მათი სიგნალის ტრანსლირება დაევალოთ.

პარალელურად ტელეკომპანია „კავკასიის“ გენერალურმა დირექტორმა ნინო ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ მომავალ კვირას „კავკასია“ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიის მოთხოვნით მიმართავს.

მეორე საკითხია კანონის ამ ნორმის არშესრულებისთვის სანქციების დაწესება. დღეს პროექტში არანაირი სანქცია არ არის გათვალისწინებული.

ამასთან დაკავშირებით არასამთავრობო სექტორის შეთავაზება იყო ის, რომ პირველ ჯერზე დარღვევის შემთხვევაში დაწესებულიყო 25 ათასლარიანი ჯარიმა, განმეორებით შემთხვევაში კი - 75 ათასლარიანი. თუმცა, კუბლაშვილმა თქვა, რომ სანქციები აუცილებლად გაიწერება. თუმცა, მისი განმარტებით, ფულად სანქციაზე ქმედითი გაფრთხილება და ლიცენზიის შეჩერება იქნება. შესაბამისად, სანქციად ეს პირობები ჩაიწერება და პროექტში მეორე მოსმენისთვის აისახება.

თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადება, რომ საკაბელო მაუწყებლებს კანონმა დაავალდებულოს ყველა ტელეარხის თანაბარი ხარისხით მაუწყებლობა, ხელისუფლებისთვის მიუღებელია და ამბობენ, რომ ამის კანონით რეგულირება წარმოუდგენელია, რადგან ეს მთლიანად მაუწყებელზეა დამოკიდებული და მათ ვერ დაავალდებულებენ, რომ დამატებითი ხარჯები გაიღონ ძვირადღირებული აპარატურის შესაძენად. თუმცა, კუბლაშვილი იმასაც ამბობს, რომ თუ ვინმე ხარისხს შეგნებულად გააუარესებს, ამაზე რეაგირება აუცილებლად იქნება.

ყველაზე მთავარ პრობლემად კი ამ ნორმის მოქმედების ვადები რჩება.

შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო სექტორი ამ პრინციპის მუდმივად განხორციელებას ითხოვდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლება მხოლოდ საარჩევნოდ განხორციელებას დათანხმდა, ითხოვენ, რომ ეს ვადა არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე გაგრძელდეს, მაგრამ ხელისუფლება ამაზეც კატეგორიულ უარს ამბობს.

მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ეს პრინციპი ხორციელდება იმისთვის, რომ ამომრჩეველს არჩევანის გაკეთებისთვის ყველანაირი ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდეს და არჩევნების შემდეგ ეს საჭიროება აღარ იარსებებს.

ყველაზე საინტერესო კი ის რეალური მიზეზია, რაზეც ხელისუფლება ხმამაღლა ვერ საუბრობს, მაგრამ უმრავლესობის წევრებს პირად საუბრებში ეს მიზეზი წამოსცდათ. მათ თქვეს, რომ ისინი ვერ დაუშვებენ იმას, რომ არჩევნების შემდეგ მოსახლეობას მიმართონ, მოდით აქციებზეო, და ეს რეგიონების მოსახლეობამ თავისუფლად მოისმინოს.

იმის გამო, რომ ეს მიზეზი პირადი საუბრისას იყო ნათქვამი, აუდიო ჩანაწერი არ არსებობს, მაგრამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ამაზე საუბარი მაინც აუცილებელია.

ამ შემთხვევაში მთავარი ორი მომენტია. ერთი ის, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს, რეგიონების მოსახლეობამ მოისმინოს აქციაზე მისვლის მოწოდება, რაც თავისთავად ძალიან შემაშფოთებელია და, ცხადია, საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასა და აზრის თავისუფლებასთან. და მეორე, არჩევნების შემდეგ, ვიდრე არჩევნების შედეგები გამოცხადდება, აქციების ჩატარება და აქციაზე მისვლის მოწოდებები გაკეთდება იმ შემთხვევაში, თუკი ეს არჩევნები ან მისი შედეგები გაყალბდება და ხელისუფლებას არ სურს, რომ ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია ჰქონდეს. ამიტომაც „მასთ ქერის“ პრინციპის განხორციელების ვადის 20 დღის გახანგრძლივებაზე კატეგორიულ უარს ამბობს.

**თეონა ხარაბაძე**






ხელისუფლების „ინფლაცია“

# საარსებო მინიმუმს არჩევნების წინ პენსიების ოდენობას გაუტოლებენ?..

**ბოლო პერიოდში ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი სულ უფრო მცირდება. თუკი ერთი წლის წინათ შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 163,2 ლარს შეადგენდა, ამჯერად 154,1 ლარია. სავარაუდოა, რომ ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება და გამორიცხული არ არის, მინიმუმი არჩევნების წინ პენსიების ოდენობას გაუტოლონ.**

ბოლო 3 თვეა სტატისტიკის სამსახური სამომხმარებლო კალათას ახალი მეთოდოლოგიით ითვლის, რომლის მიხედვითაც სასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 40.1-დან 30.3 პროცენტამდე შემცირდა. „საქსტატის“ დირექტორის მოადგილის თენგიზ ცეკვავას განცხადებით, აღნიშნული ცვლილება ინფლაციის საერთო მაჩვენებლის ფორმირებაზე სურსათის ჯგუფის გავლენას შეამცირებს. მისი თქმით, „განახლებულ სამომხმარებლო კალათაში 12 სასაქონლო ქვეჯგუფია, რომელიც სულ 288 პროდუქტისგან შედგება. მათ შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის დეპარტამენტი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე დაყრდნობით მიიღებს. ამ სისტემის მიხედვით ხდება მთლიანი შიგა პროდუქტის გამოანგარიშება. აღნიშნული ცვლილება საქართველოს სტატისტიკის სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას უკავშირდება“, – ეს არის ცეკვავას ოფიციალური პოზიცია.

საქსტატში აღნიშნავენ, რომ სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად, თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო კალათა შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს მომხმარებლების მიერ. კალათის განახლება 3 წელიწადში ერთხელ ხდება. უკანასკნელად ის 2010 წლის იანვარში განახლდა. ამჟამად კალათა 288 სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას შეიცავს.

საარსებო მინიმუმის შემცირებას ექსპერტები კურიოზს უწოდებენ.

„საარსებო მინიმუმის კალათა ხელისუფლებამ ხელოვნურად გააიაფა იმით, რომ კალორიულობა შეამცირა. ასეთი ხრიკებით ცდილობენ, უცხოელები დაარწმუნონ, რომ ჩვენთან ცხოვრება საამურია, მაგრამ მსოფლიოში იზრდება ფასები სურსათზე, იზრდება საქართველოშიც და როგორ შეიძლება საარსებო მინიმუმი მცირდებოდეს? იმის დასტურად, რომ საარსებო მინიმუმი ხელოვნურად არის შემცირებული, ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან: რატომღაც, საქართველოში საარსებო მინიმუმის კალათაში მამაკაცისათვის სამჯერ ნაკლები ხორცია გათვალისწინებული, ვიდრე სომხეთში მცხოვრები მამაკაცისათვის. როდესაც ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ დღეს საქართველოში საარსებო მინიმუმი არის 220 ლარი და არა 154, მან, საკმაოდ რეალურად შეაფასა სიტუაცია, თუმცა, შესაძლოა, ეს მაჩვენებელი 220 ლარზე მეტიც იყოს“, – აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა.

სხვათა შორის, როდესაც ნიკა გილაურმა შეაფასა 2012 წელს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, თქვა რომ ქვეყანაში მიმდინარეობს პოზიტიური ინფლაცია, ხოლო შემდეგ აღნიშნა, რომ თურმე ფასები იკლებს. ინფლაცია თავისთავად ნიშნავს ფასების მატებას, ანუ პოზიტიური ინფლაცია ნიშნავს ფასების მატებას, ხოლო ფასების კლებას ეკონომისტები ეძახიან ნეგატიურ ინფლაციას, ანუ დეფლაციას.

„არ ვიცი, ბატონ გილაურს ეს უცოდინარობის გამო მოუვიდა თუ სურდა, ორიგინალური ყოფილიყო, მაგრამ მისთვის ამგვარი „მარგალიტების“ ფრქვევა დამახასიათებელია. ჩემმა რომელიმე სტუდენტმა ფასების კლებაზე რომ მითხრას, პოზიტიური ინფლაციააო, ნამდვილად ვერ დავუწერ დადებით შეფასებას. სამწუხაროდ, ეს არის პოლიტიკური განცხადებები და მათ მხარს უჭერს ჩვენი სტატისტიკაც, რომელიც ისე დააზარალა „ბენდუქიძის ეპოქამ“, რომ მის აღდგენას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება“, – აცხადებს ლადო პაპავა „ყველა სიახლესთან“ საუბრისას.

ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან დაკავშირებით, საკუთარ პოზიციას გამოთქვამს სტატისტიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე. მისი თქმით, ცხოვრების დონე არ განისაზღვრება მხოლოდ ფასების ზრდის ან შემცირების დინამიკით.

„რა თქმა უნდა, ფასების ცვლილება გავლენას ახდენს შემოსავლების რეალურ მსყიდველუნარიანობაზე. იმისათვის, რომ ცხოვრების დონე გაიზარდოს, არ არის საკმარისი მხოლოდ ფასების სტაბილურობა. აქ საჭიროა, შემოსავლების ზოგადი ზრდა ან მისი დივერსიფიცირება. შეიძლება ინფლაციის მატებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ პარალელურად იზრდებოდეს მოსახლეობის კეთილდღეობა.

ინფლაცია არის საბაზრო ეკონომიკის თანმდევი მოვლენა. ვერც ერთი ქვეყანა მას თავს ვერ დააღწევს, მაგრამ ქვეყნები წარმატებულად ითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ როგორ ახდენენ ისინი მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას და ამის საფუძველზე კეთილდღეობის ამაღლებას. საქართველოს რეალობაში ამ კუთხით აცდენა გვაქვს. მართალია, ქვეყნის მშპ იზრდება, თუმცა თითოეული შინამეურნეობის კეთილდღეობაზე ეს არ აისახება“, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

**გიორგი ბექაური**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას,**

ბატონო რედაქტორო! წარმოდგენილი წერილი დაიბეჭდა ყოველკვირეულ გაზეთ „გზაში“ (№3, 16-22 ივლისი, 1997 წელი) თხუთმეტი წლის წინათ. მაშინ დაიწყო ხმამაღალი მსჯელობა ქართული ხუროთმოძღვრების უთვალსაჩინოესი ძეგლის, ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ მიჩნეული ბაგრატის ტაძრის მომავალი ბედის შესახებ. მაშინ გამოთქმული ვარაუდები კამათის დონეს არ გასცდენია და საკითხი გადაუჭრელი დარჩა. რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს პრეზიდენტის იმპერატიული მოთხოვნით, ეკლესიის მსახურთა გარკვეული ნაწილის მხარდაჭერით გადაწყდა ტაძრის აღდგენა.

თავიდანვე ხაზგასმით იყო გამოკვეთილი ორი თვალსაზრისი. დარწმუნებული ვარ, რომ აღდგენის მომხრეებსაც ჩვენი წარსულის სიყვარული ამოძრავებდათ, მაგრამ სერიოზულად დაშორდნენ რეალობას. მათი აზრით, ძეგლის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო მისი რესტავრაცია. მეორე ნაწილის აზრით, რესტავრირება გამოიწვევდა გადარჩენილი ნაწილის განადგურებას და ძეგლს დაუკარგავდა ისტორიულ ღირებულებას. ამაღლებული პატრიოტიზმის ქადაგებით, ხელისუფლებამ ქართული სულიერებიდან ამოკვეთა ხატი — ეროვნული ერთიანობის სიმბოლო. ამ ქმედებაში კარგად ჩანს ნაციონალების განზრახვის მთავარი იდეა: საქართველოში წარსულისაგან ქვა ქვაზე არ დატოვონ, რადგან მათი ისტორია 2003 წლიდან იწყება და რაც მანამდე იყო, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა. ბაგრატის ტაძარი ჩასვეს თავიანთი აღმშენებლობის ჩარჩოებში და ათასაუკუნოვანი ეროვნული საკურთხეველი შესწირეს ფართოდ რეკლამირებულ „პატრიოტულ“ ახირებას.

ბაგრატის ტაძრის გადარჩენის ერთადერთ გზად თავიდანვე მისი კონსერვაცია სახელდებოდა. დღეისათვის ეს გზა აღარ არსებობს. ძეგლს ფორმა შეცვლილი აქვს, დანგრეულის აღდგენა შეუძლებელია. მშენებლობის შეჩერებასაც აზრი აღარ აქვს, ბარემ დამთავრდეს, მაგრამ დასრულებული ღვთის ტაძარი ბაგრატის ტაძარი არ იქნება.

წაიშალა ისტორია, წაიშალა „მეგობარი“ თურქების ბოროტებათა კვალი. ტაძარი ისეთი მტკიცე რკინა-ბეტონის სალტით შეიჯავშნა, რომ რამდენიმე საუკუნე უსაფრთხოების გარანტია ხელთა გვაქვს. ნამდვილად დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ მომდევნო ეპოქის ქართველები გარჯას დაგვიფასებენ? დარწმუნებული ვარ, რომ არა!

ახლად აგებული ტაძარიც კარგია, მაგრამ უპირატესობა ისტორიას უნდა მინიჭებოდა. ბაგრატის ტაძრის ბედის ასეთი შემობრუნება იმ ანთებული პატრიოტების დამსახურებაცაა, რომლებიც გაათმაგებული ენერგიით მოითხოვდნენ მის აღდგენას. საინტერესოა, ახლა რას ფიქრობენ? ხომ ცხადია, რომ მათმა აქტიურობამაც გარკვეული როლი შეასრულა ქართული ხელოვნების ისტორიიდან ამოშლილიყო ერთი ლამაზი ფურცელი. უნდა გაუწყოთ, რომ დასაშვებზე მეტად შეგვეშალა: პატრიოტული სიტყვების ასპარეზს წარმოადგენს მამაპაპური სუფრა და ყანწი, მაგრამ ეს შემართება უნდა დავტოვოთ სუფრაზე, ეროვნულ სიწმინდეებთან ურთიერთობა მეტ მოკრძალებას მოითხოვს.

ტაძარი სამი საუკუნე მკერდშენგრეული იდგა, მაგრამ ღვთაებრივ მშვენიერებას მაინც აფრქვევდა. „მზრუნველმა“ შთამომავლობამ წარსულის კვალისაგან გაწმინდა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გამართა. საკუთარი კულტურის ძეგლს ასე უდიერად არ ექცევიან. თანამედროვე საქართველომ ამ მხრივ წარსულის ახლებური გაგება შემოგვთავაზა.

ქუთაისს მაღლიდან დაჰყურებდა ათასაუკუნოვანი ძველი დიდების ნაშთი. გვეამაყებოდა, რომ ტაძარი შეტანილი იყო იუნესკოს კულტურის ძეგლთა ნუსხაში. მსჯელობა იმის შესახებ, რომ რესტავრირების შემდეგ სტატუსი არ შეეცვლებაო, დამაჯერებელი არ არის. თავს ხომ არ ვიტყუებთ?

ერთი შენიშვნაც. ხელისუფლება რომ გვიქადაგებს, საქართველო ტურიზმის ქვეყნად უნდა ვაქციოთო, სინამდვილეში ჰაერში ნასროლი ფუჭი სიტყვების შთაბეჭდილებას ტოვებს. იუნესკოს კუტურის ძეგლთა სიაში შესული უფრო მიმზიდველი იქნებოდა თუ დღეს აგებული ტაძარი? ნეტარ არიან მორწმუნენი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**გრანი ქავთარია**

# განსჯისთვის და არა დასამოძღვრად



## ბაგრატის აღდგენის გეგმაში ჰეროსტრატეს უკვდავების ნიშანიც ჩანს

ერის სულიერი კულტურის საგანძურში ეპოქის მანათობელ ხატად, ერთეული ქმნილებანი იმკვიდრებენ ადგილს. უმკაცრესი მსაჯული — ისტორია მხოლოდ გამორჩეულებს ათავსებს თავისი მფარველობის ქვეშ. ჟამთა სვლა დროებით აღტაცებას მოკლე ხანში დავიწყების საბურველით ფარავს. ხელოვნების ძეგლთა სიმრავლეში დრო თავისთავად გამოკვეთს მთავარს, რომლის გარშემოც ხდება კვარცხლბეკის მომდევნო საფეხურის დაკავება.

ყოველ ერს თავისი არსებობის გარკვეულ ეტაპზე ევლინება ღვთაებრივი ენერგია და ქმნის სულისა და რწმენის სიმბოლოს. არც ერთ ხალხს სიმბოლო — ხატი, ყოველ ნაბიჯზე არ გამოსდიოდა. საუკეთესო თანაბართა შორის იშვიათ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება, ასეთ ამაღლებულ ძეგლად სუნთქავს ქართული კულტურის ცაზე ბაგრატის ტაძარი, რომლის აჩრდილიც გვირგვინად ადგას ჩვენს ხუროთმოძღვრებას.

ეროვნულ სიამაყედ ქცეული ტაძარი ერთი საუკუნის საკუთრებას არ წარმოადგენს. გაფრთხილება სჭირდება მრავალ ძნელბედობას გამოტარებულ შარავანდედს, რომლის მიღწევაც ქვეყნის მეუფეთა სურვილზე არ არის დამოკიდებული. ძეგლის სიმაღლეს განაპირობებს არა ის ადგილი, რომელიც მას სივრცეში უჭირავს, არამედ მისი როლი სულიერ ცხოვრებაში.

განსჯისათვის და არა დასამოძღვრად, ვუერთდები იმ თვალსაზრისს, რომელიც საყოველთაო საზეიმო განწყობას არ შეესატყვისება.

რამდენიმე წლის წინათ დაიბადა ბაგრატის ტაძრის აღდგენის იდეა. ზუსტად ათასაუკუნოვანი ძეგლის მოღწეული ფრაგმენტების განახლებას თითქმის მთელი საქართველო ოვაციებით შეხვდა. დარწმუნებული ვარ, რომ ტაძრის აღდგენის მომხრეებს სიყვარული ამოძრავებთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, ვაითუ სიყვარულს ტრფობის ობიექტიც შეეწიროს.

ბაგრატის აღდგენის გეგმაში ჰეროსტატეს უკვდავების ნიშანიც ჩანს. ცნობილია, ძველმა ბერძნებმა არტემიდა ეფესელის განადგურებული საკურთხევლის ადგილზე ახალი ააგეს, არანაკლები მოცულობისა და გარეგნობის, მაგრამ ხელოვნების თვალსაზრისით, სულ სხვა ტაძარი გამოუვიდათ. მას ადრინდელი მხოლოდ სახელი შერჩა. გვსურს თუ არა, ბაგრატის აღდგენის შემთხვევაში, ჩვენც ასე მოგვივა. ძეგლის განმეორება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს მისი ასლის გადაღების შესაძლებლობა. ასეთი რამ კი გამორიცხულია ტაძრის თავდაპირველი ნაწილის ფრაგმენტულობის გამო. ფაქტია, ბაგრატი მოქმედი ტაძრის ფუნქციას ვერ ასრულებს. ეს მოვალეობა რომ დაეკისროს, ამისათვის მოღწეული უნდა განადგურდეს.

ტაძრის აღდგენის შესახებ მრავალი მოსაზრება გამოითქვა. მათ შორის თავისი არგუმენტაციით უაღრესად ანგარიშგასაწევია ბატონ ლ. მეძმარიაშვილის მოწოდებული თავშეკავება („ლიტერატურული საქართველო“, №14, 8 აპრილი, 1994 წელი). მისი მსჯელობის თანახმად, ჩვენ მოწმენი გავხდებით, თუ როგორ შეეწირება დასახული იდეის განხორციელებას ტაძრის გადარჩენილი ნაწილი. სადავო არ არის, რომ საუბარი საკითხის რეალური ცოდნის საფუძველზეა აგებული და მისი დასკვნა უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. ძეგლის აღდგენის მომხრეთაგან პროფესიონალის შეგონებისათვის პასუხი არავის გაუცია. თუმცა რა მოტივი უნდა დაუპირისპირდეს ასეთ მსჯელობას: „აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ ძეგლისა, რომელიც თავად იძლევა საამისო უტყუარ მასალას. დღეს მსოფლიოში მიღებული წესების მიხედვით, აღდგენა, ანუ რესტავრაცია წყდება იქ, სადაც იწყება ჰიპოთეზა. ბაგრატის ტაძრის სრული სახით წარმოდგენა მთლიანად მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე არის შესაძლებელი, ვინაიდან ჩვენამდე ტაძრის მესამედმა თუ მოაღწია“. გარდა ამისა, არსებითია სხვა ფაქტორებიც. კერძოდ, „ის ფრაგმენტები, რაც სადღეისოდ შემორჩენილია ადგილზე, ახალი შენობის იმდენად მცირე ნაწილი იქნება, რომ ისტორიული შენობის რესტავრაციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი აღმოჩნდება (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის, რასაც დღეს ვხედავთ ფრაგმენტების სახით, სანახევროდ XX საუკუნეში ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოების შედეგია)“ ბაგრატის ტაძრის შენარჩუნების შესახებ საუბარი მოტანილი არგუმენტების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. ასეთ საკითხზე მსჯელობისას საბოლოო სიტყვა უნდა თქვას ხუროთმოძღვარმა და არა ორატორმა.

ბაგრატის ტაძრის აგება „ქართლის ცხოვრებაში“ უმნიშვნელოვანეს მოვლენად არის გამოცხადებული. „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორი ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით წერს, ბაგრატმა აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებათა დიდითა და მიუწვდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინაშე ძლიერნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“. საზეიმო კურთხევაში ხაზგასმული იყო მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

XVII საუკუნის დასასრულამდე ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ იდგა. სამი საუკუნის წინათ დანგრეულს ესაჭიროება შენარჩუნება და არა აღდგენა. აღდგენით წავშლით მტრის კვალს. გავინადგურებთ იმ ხატს, რა სახითაც დაისადგურა ტაძარმა ქართველთა წარმოდგენაში. უხერხულად ჟღერს: აღდგენილი ბაგრატის ტაძარი იქნება საქართველოს გამთლიანების სიმბოლო. ნუთუ აღუდგენელს ეს ფუნქცია ჩამორთმეული აქვს? რატომ ვამცირებთ მის როლს. მის მშენებლებს კარგად ესმოდათ, რას აკეთებდნენ და რა როლი უნდა დაკისრებოდა მათ ნამოღვაწარს. მარტოოდენ ემოციებზე დამყარებული მრავალსიტყვაობა ძეგლის გადარჩენას ვერ დაეხმარება. ახლად აგებული დაკარგავს თავის ამაღლებულ სხივოსნობას და იქცევა ჩვეულებრივ ტაძრად, ქუთაისის, ერთი უბნის საკუთრებად. იმ სახით, რა სახითაც დღეს დგას, მთელი საქართველოს საკუთრებაა. ეს მხარეც უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ ბაგრატის ტაძარს საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ ვთვლით, მას დაცვა სჭირდება და ასეთ ხატად უნდა შევინარჩუნოთ მის ნანგრევებზე ერთი სვეტიც რომ იდგეს. ხოლო თუ ახალი ტაძრის აგება გვსურს, ღვთის წყალობით, ხელისშემშლელი არავინ არის, აღვმართოთ იგი ქალაქის ნებისმიერ ნაწილში და ვუწოდოთ ის სახელი, რაც დღევანდელ საქართველოში აგებულ ტაძარს შეჰფერის. ამ გზით ბაგრატსაც შევუნარჩუნებთ სიცოცხლეს და ახალ ტაძარსაც შევიძენთ.

ბაგრატის ტაძრის ჭეშმარიტ გულშემატკივართა საზრუნავი უნდა იყოს მიღწეულის შენარჩუნება, თორემ ახალი ტაძრის აგება რომ პრობლემას არ წარმოადგენს, ეს საკამათოდ არავის გაუხდია, არა მგონია, ტაძრის აღუდგენლობა მომავალმა თაობებმა გვისაყვედურონ. იქნებ მესამე ათასწლეულის ქართველებმა არ მოგვიწონონ ექსპერიმენტი. როგორ მოიქცნენ? განა არსებობს მაგალითი იმისა, რომ რომელიმე ხალხს ეროვნულ დიდებად მიჩნეულ ძეგლზე სამი საუკუნის შემდეგ ხელი აღემართოს. ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორი იყო ტაძარი 1691 წლამდე. იგი იმდროინდელმა ძნელბედობამ იმსხვერპლა. ტაძრის დანგრევას უდიდეს ტრაგედიად თვლის ვახუშტი ბაგრატიონი. მისი სიტყვებით, „გარნა იქმნა საგლოველი, რამეთუ გამოვიდნენ ციხიდან ოსმალონი და შემუსრეს ქუთათისის ეკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ შვენიერად გებული“.

თუ გვეამაყება ჩვენი ხუროთმოძღვრების ძეგლთა ისეთი შეფასება, რომლის შედეგიც არის ბაგრატის იუნესკოს სიაში მოხვედრა, ახლად აგებული ტაძარი სიაში დარჩება? რომელი უკეთესია, მოქმედი ეკლესია, თუ მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების ძეგლი? ბაგრატის ტაძარი რომ ჩვეულებრივი ნაგებობა იყოს, შეიძლებოდა მისი აღება და ახლის აგება. მაგრამ ის ხომ საქართველოს წარსულის მთელი ეპოქაა. მისი გადაკეთებით ეს ეპოქაც წაიშლება.

ბაგრატის ტაძრის აღდგენაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ როგორ ეპყრობიან სხვა ხალხები მსგავს მდგომარეობაში მოქცეულ თავიანთ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. ნუთუ გაუჭირდებოდათ თანამედროვე ბერძნებს ათენის აკროპოლისისა და მისი გვირგვინის პართენონის აღდგენა? ნუთუ მათ არ ესმით აკროპოლისის როლი საბერძნეთის სულიერი კულტურის ისტორიაში. მაგრამ რაც გადარჩა, იმას უფრთხილდებიან და მთავარ ყურადღებას მოღწეულის შენარჩუნებას უთმობენ. უფრო თვალსაჩინო ნიმუშად გამოდგება რომის კოლოსეუმი. ტრადიციების სიყვარულისა და მძლავრი ეკონომიკური პოტენციალის მიუხედავად, იტალიელების წინაშე არ დასმულა საკითხი მისი აღდგენის შესახებ. მუსოლინსაც კი (თუ მოისურვებდა, წინ ვერავინ დაუდგებოდა), აზრად არ მოსვლია კოლოსეუმის რესტავრაცია. როცა მსგავსი ნაგებობის შექმნის სურვილი გაუჩნდა, რომის გარეუბანში ააგო გიგანტური შენობა, რომელიც დაუპირისპირა ფლავიუსების ამფითეატრს. თავისთავად არცთუ ცუდი ნაგებობა, ოდნავადაც ვერ შეედრება პირველ საუკუნეში აღმართულ საოცრებას.

ანტიკურ თეატრებში დღესაც იმართება სანახაობანი, მაგრამ არსად არავის ერთი აგურიც არ დაუმატებია. არავის მოსვლია აზრად წარსულის კვალის დაფარვა და თანამედროვეთა გაოცება საკუთარი ქვეყნის სიყვარულის ხმამაღალი შეძახილებით.

ბაგრატის ტაძრის აღდგენით საუკეთესო შემთხვევაში შეგვრჩება პერგამოსის საკურთხევლის მსგავსი სამუზეუმო ექსპონატი, თანაც იმ პირობით, თუ წინასწარ იქნება მონიშნული, რომელია ტაძრის თავდაპირველი ჩუქურთმა და რომელი გვიანდელი. მაგრამ ძეგლის აღდგენის მომხრეები მუზეუმის დაარსებას არ ისახავენ მიზნად.

მოტანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ისტორიის ქარტეხილებში დაცემულ ძეგლებზე ზემოქმედებისაგან ყველა ხალხი თავს იკავებს. თავშეკავება გამოწვეულია ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით, რომ არ დაირღვეს ჰარმონია ძეგლსა და იმ მრევლს შორის, რომელიც მას თავისი სულის ნაწილად თვლის. ბაგრატის ტაძარს თუ ვუწოდებთ საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს, აღდგენილ-გადაკეთებული შეინარჩუნებს ამ ტიტულს? ნუ გავაუფასურებთ და ფუნქციებს ნუ დავუკარგავთ ამაღლებულ გრძნობებს უმისამართოდ ხმარებული სიტყვებით. ნუ ვაქცევთ ერის სალოცავ ხატს ჩვეულებრივი დანიშნულების ნაგებობად. ნუ დავაპატარავებთ მის სახელსა და დიდებას, რომელიც „მატიანე ქართლისას“ სიმაღლისა იყო.

თანამედროვე ქართველებმა რაც დავანგრიეთ, ის აღვადგინოთ. მხედველობაში მაქვს არა რომელიმე ნაგებობა, არამედ უმთავრესი და უძირითადესი, ეროვნული სულის მთლიანობა. ეს არის ჩვენი ტვირთი და ჩვენი ვალი და არა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი ძეგლის სიმბოლოებში შეზიარება.



**გრანი ქავთარია**

# საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები

## როგორი უნდა იყოს ქვეყნის განვითარების ეკონომიკური სტრატეგია?

**ახლახან გამომცემლობა „ივერონმა“ დასტამბა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ჭითანავას წიგნი „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“. მის ავტორს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა ბატონი ნოდარ ჭითანავა მოუღლელად და მამულიშვილურად მოღვაწეობდა ქვეყნის განვითარებისა და აღმშენებლობისთვის სხვადასხვა ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო პოსტებზე, ამჟამად კი მისთვის ჩვეული შემართებითა და რუდუნებით იღვწის მეცნიერების სარბიელზე, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკაში წამოჭრილი მწვავე პრობლემების ნოვაციური, სრულიად ახლებური მეცნიერული მეთოდებითა და ფორმებით გადაჭრისათვის. ხსენებულ წიგნშიც ღრმა ფილოსოფიურ და სოციალურ ჭრილში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის რთული და ზიგზაგისებური პროცესი, ახსნილია მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმები, შემოთავაზებულია კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები ეროვნული ეკონომიკის თვისებრივად ახალ ორბიტაზე გადასვლისათვის. თუმცა, ვფიქრობთ, მკითხველისთვის გაცილებით საინტერესო იქნება, ყოველივე ამის შესახებ უშუალოდ წიგნის ავტორისაგან მოისმინოს.**

### გარდამავალი პერიოდი გაჭიანურდა

**— ბატონო ნოდარ, როგორც თქვენ წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავთ, 20 წელზე მეტი გავიდა, რაც საქართველო ექსტრემალურ პირობებში ცხოვრობს. ქვეყნის განვითარებაში გარდამავალი პერიოდი ერთობ გაიწელა და გაჭიანურდა. არც ვიცით განვითარების რომელ ფაზაშია იგი, საით მივდივართ, როდის გავალთ ქვეყნისათვის მისაღებ გზაზე. საინტერესოა თქვენეული ხედვა იმისა, თუ რას წარმოადგენს ეს ეგრეთ წოდებული „გარდამავალი პერიოდი“, როგორი თავისებურებებითა და ტენდენციებით გამოირჩევა და რა ფაქტორებზეა დამოკიდებული მისი ხანგრძლივობა?**

— საუბარია სოციალისტური ეკონომიკის გარდაქმნაზე, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემად. ეს რთული და მრავალმხრივი პროცესია, რასაც გარკვეული დრო სჭირდება. სწორედ ესაა გარდამავალი პერიოდი. სამწუხაროდ, იგი საქართველოში გახანგრძლივდა — თითქმის 22 წელია, ამ პროცესშია ეროვნული ეკონომიკა, რომელიც დღეს ფუნქციონირებს როგორც კვაზი საბაზრო სისტემა. მისი ყველა შემადგენელი ნაწილი დეფორმირებულია. დიახ, საქართველოში გვაქვს კვაზი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც სისტემური კრიზისიდან ნელ-ნელა გამოდის. მიუხედავად ბოლო პერიოდში ზრდის შედარებით მაღალი ტემპებისა, ჯერ კიდევ მიუღწეველია მშპ წარმოების 1990 წლის (რეფორმამდელი) დონე. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც რთულ კვანძად შეიკრა და ამუხრუჭებს საზოგადოებრივ პროგრესს. დღეს საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში შიმშილთან, უმუშევრობასთან, უწიგნურობასთან, ავადმყოფობასთან, უთანასწორობასთან, როგორც უბედურებებთან ბრძოლა, სწორად გაცნობიერებულიც არ არის. საქართველოში ტრანსფორმაციული პროცესები სტიქიურად განვითარდა. მოზღვავებული ეროვნული ენერგია, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებით ეიფორიულ მდგომარეობაში ჩამოყალიბდა, სწორი კალაპოტით არ წარიმართა. მიზეზები მრავალია. მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საქართველოს, როგორც ფორმირებად სახელმწიფოს, გარდაქმნების სწორად გააზრებული პროგრამა არ ჰქონია და დღესაც არა აქვს.

გარდაქმნის პროცესში დაშვებულია სერიოზული შეცდომები. ჩემი აზრით, არსებითი შეცდომა იყო „შოკური თერაპიის“ როგორც გარდაქმნების კონცეფციის გამოყენება, რომლის მიზანი იყო არა სოციალისტური ეკონომიკის გარდაქმნა ეფექტიან საბაზრო სისტემად, არამედ სოციალისტური საფუძვლების დანგრევა. ამ შემთხვევაში იმძლავრა შურისძიებამ პრინციპით: „სისხლი სისხლის წილ“. ამას დაემატა ეთნოკონფლიქტები, სამოქალაქო დაპირისპირება (მისი შიდა და გარე ფაქტორებით), ხელისუფლებაში მოსული კადრების არაკომპეტენტურობა, რეგიონული სეპარატიზმი და სხვა მოვლენები. **ყოველივე ამან საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი, რომელიც ობიექტურად ჩამოყალიბდა, ნეგატიურ (დამანგრეველ) ფაქტორად აქცია.** ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საერთაშორისო ეკონომიკურმა და ფინანსურმა სტრუქტურებმაც. შედეგად ის მივიღეთ, რომ საქართველო მთავარი მაჩვენებლით (მშპ მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე) დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანაა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ აშკარად ჭარბობს ქვეყნის განვითარების ხელშემწყობ პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა, რაც იძლევა „გარღვევის სტრატეგიის“ შემუშავება-განხორციელების რეალურ საფუძველს. მთავარია, წინააღმდეგობათა რთულ სისტემაში სწორად განვსაზღვროთ ძირითადი პოლიტიკური წინააღმდეგობა და რეალურად გავერკვეთ მის არსში. **ჩვენი აზრით, დღევანდელ საქართველოში მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა გამოიხატება „ახალი მდიდრებისა“ და „ახალი ღარიბების“ დაპირისპირებაში, რომელიც კლასობრივი ბრძოლის რევანშისტული ფორმების გამოყენების საფრთხეს შეიცავს და სოციალური აფეთქების რეალურ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, ეს მოვლენა ინტერნაციონალური ხასიათისაა.**

ეს ორი კატეგორია — „ახალი მდიდრები“ და „ახალი ღარიბები“ (მისი დიდი ნაწილი საზოგადოების ყველაზე განათლებული ფენაა) მხოლოდ პირობითად განსხვავებული ცნებები არ არის, ისინი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მენტალიტეტია, ფასეულობათა აღიარებაა. მათ სხვადასხვა სამომხმარებლო ბაზრები აქვთ, ფასწარმოქმნის მექანიზმის გავლენაც სხვადასხვანაირია. ამიტომ საზოგადოებრივი ქცევის სხვადასხვა ნორმებით ცხოვრობენ. ეს განსაკუთრებული ტიპის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენაა, რომლის აღმოფხვრის ერთადერთი გამოსავალი ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის შექმნა და ფუნქციონირებაა.

### უცხოური დოქტრინების წარუმატებლობა

**— წიგნში ამოვიკითხე, რომ მეოცე საუკუნეში საქართველომ ხუთი უცხოური ეკონომიკური დოქტრინა გამოსცადა, მაგრამ ხუთივე წარუმატებელი აღმოჩნდა. რაში მდგომარეობს ამ წარუმატებლობის არსი და როგორი უნდა იყოს ქვეყნის განვითარების ახალი სტრატეგია, ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა?**

— XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ იმ დროის შესაბამისი მასშტაბები მიიღო, რომელიც გაგრძელდა პირველ მსოფლიო ომამდე. თუმცა კაპიტალიზმი ევროპული მოდელით არ განვითარებულა. აქ დიდი იყო რუსეთის იმპერიის თავისებურებების გავლენა. ამით იმას აღვნიშნავთ, რომ საქართველოს განვითარების კაპიტალისტური სტადია სრულყოფილად არ გაუვლია. არც სოციალ-დემოკრატიული პრინციპები დამკვიდრებულა.

**საქართველოს ოკუპაციასთან ერთად ქვეყანაში მკვიდრდება „ნეპის“ პრინციპები. იგი იყო ნოვატორული დოქტრინა, თუმცა 7-8 წელიწადში ისევ შეიცვალა და მისი პოტენციალიც სრულად ვერ იქნა გამოყენებული. შემდეგ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც დამკვიდრდა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პრინციპები. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას — ამ სისტემამ შეძლო რესურსების არნახული დონით კონცენტრაცია, უზრუნველყო ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარება, რაც მთავარია, გადაწყვიტა მწვავე სოციალური პრობლემები (უწიგნურობის, უმუშევრობის, უთანასწორობის ლიკვიდაცია).**




თუმცა ეს სისტემა მზად არ აღმოჩნდა გლობალიზაციის პროცესების პრესინგით ჩამოყალიბებულ მოთხოვნებთან ადაპტირებისათვის, **რის გამოც სოციალისტური მეურნეობრიობის პოტენციალი სრულად ვერ იქნა გამოყენებული. როგორც უკვე ვთქვი, საქართველოში გამოსცადეს „შოკური თერაპიაც“, დოქტრინა, რომელიც იყო გარედან თავსმოხვეული. აღსანიშნავია რომ ყოველი მომდევნო დოქტრინა წინას ანტიპოდი იყო.** ამიტომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დაიკარგა გენეტიკური ფონი (მემკვიდრეობა), რომლის არსი ის არის, რომ ეკონომიკური პროცესი განუწყვეტელია, მისი განვითარების ეტაპებზე იქმნება ახალი წანამძღვრები, შემდგომში უფრო გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. ეს ფუძემდებლური პრინციპი დაირღვა და, **ბუნებრივია, ეკონომიკა მოწყდა ეროვნულ ფესვებს, მსოფლიოს პროგრესულ სამეურნეო გამოცდილებას და ეროვნულ ორგანიზმში სხვადასხვა უცხო სხეულის ჩანერგვით ჩამორჩენილ ეკონომიკად ჩამოყალიბდა.**

### არც ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვა და არც ეროვნულისგან მოწყვეტა

**— ბატონო ნოდარ, გამოდის, რომ უცხოურმა ეკონომიკურმა დოქტრინებმა ვერ იხეირეს ჩვენს ეროვნულ ნიადაგში. მაშინ გვითხარით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური სისტემა? ცხადია, ის აშშ-ის, რუსეთის, ევროპის, ჩინეთის, სინგაპურის თუ სხვა ქვეყნების თარგზე ვერ შეიქმნება.**

— მართალი ბრძანდებით, მომავალი სისტემა ეროვნული ფენომენიდან უნდა ამოიზარდოს და დაეფუძნოს ქვეყნის თვითმყოფადობის, ეფექტიანობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასეთ სისტემად გვესახებოდა და ამჟამადაც გვესახება შერეული (მრავალსუბიექტიანი), სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა. იგი გამოირჩევა საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმით, საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების სიმბიოზით, სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ფუძემდებლური პრინციპებით, ზნეობრივი მოთხოვნების სულისკვეთებით და ემსახურება ცხოვრების მაღალი დონის (ხარისხის) მიღწევას საზოგადოების ყველა წევრისათვის და არა მხოლოდ მისი შერჩეული ნაწილისათვის.

სწორედ ასეთი ტიპის ეკონომიკურ სისტემაში არის მაქსიმალურად შესაძლებელი ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისა და სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური ორიენტაციის ერთიანობის დაცვა, საშუალო ფენის სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ფორმირება, „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიით ნასაზრდოები სხვადასხვა ინტერესებს ამოფარებული რევანშიზმის რეციდივების აღმოფხვრა.

ნიშანდობლივია, რომ ეროვნული მეურნეობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საერთო თანხმობის ფენომენს. ქვეყნის ისტორიული წარსული ამას ადასტურებს. გლობალიზაციის ორმაგი ბუნება ლოგიკურად მოითხოვს — საქართველომ გლობალურ პროცესებთან ადაპტირების სტრატეგია შეიმუშავოს საკუთარ ისტორიასთან, ტრადიციებთან მიმართებაში. **გლობალურ პროცესებთან ადაპტირება გარდუვალია, ოღონდ უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: არც ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვაა სწორი და არც ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა. სახელმწიფოს პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს ევროკავშირში შესვლის დაჩქარება, შესაბამისი მიზნობრივ-სახელმწიფოებრივი პროგრამის განხორციელებით.**

### გვესაჭიროება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია

**— თქვენ ამბობთ, რომ ქვეყანას სჭირდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რას ეფუძნება იგი და როგორი პრიორიტეტები იქნება განმსაზღვრელი?**

— ნამდვილად ასეა, ქვეყანას სჭირდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია (ქვეყნის განვითარების იდეების, შეხედულებებისა და რწმენის სისტემური ერთიანობა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ფენომენს და თავსებადია ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან), რომელიც განსაზღვრავს მთავარ ეროვნულ იდეას (მიზანს) და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარების ორიენტაციის სტაბილურობას. ეროვნული იდეოლოგია უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად, ეტაპობრივად, კომპლექსური პროგრამებით. **მიზანშეწონილია შედგეს „2020 წლამდე საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამა“, რომელშიც აისახება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები და სტრატეგიული მიზნები. ჩვენი აზრით, ეროვნული იდეა, რომლის გარშემო მოხდება ერის კონსოლიდაცია და მიიღწევა ეროვნული თანხმობა, არის საქართველოს სახელმწიფოს იდენტურობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცება, ქართული ფენომენის თვითგანვითარების უნარის უზრუნველყოფა, გლობალური პროცესების აქტიურ სუბიექტად გადაქცევა.** ასეთი იდეა ლოგიკურად ამთლიანებს ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. პროგრამაში უნდა გამოიყოს ერთი განსაკუთრებული მიმართულება (იდეა-სტრატეგია), რომელიც რეალურად განსაზღვრავს საქართველოს როლს ცივილიზაციათა ურთიერთობებში. **ასეთად უნდა მივიჩნიოთ ქართული კულტურა (ფართო გაგებით). ამიტომ ვთვლით, რომ ეროვნული კულტურის განვითარება უნდა იყოს ზოგადეროვნული მიზანი.** რაც შეეხება ეროვნულ სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს, ესენია: **დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესის გაძლიერება-დაჩქარება; საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის ამაღლება; განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სისტემების სწრაფი განვითარება, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრიორიტეტების ერთიანობა. თითოეული პრიორიტეტის მიხედვით გამოიყოფა დარგობრივი, რეგიონული ეტაპობრივი პრიორიტეტები. მაგალითად, პოლიტიკურ სფეროში — ინსტიტუციური გარდაქმნები; ეკონომიკის სფეროში — ენერგეტიკის, სურსათის წარმოებისა და ტურიზმის განვითარება; სოციალურ სფეროში — დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღება, სიღარიბის დაძლევა; რეგიონულ სფეროში — რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრება და სხვ.**

ეროვნული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა მრეწველობამ უნდა უზრუნველყოს. აგრარული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირება უნდა განვიხილოთ როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებაზე ორიენტაციით სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. სამოქალაქო საზოგადოებაში განმსაზღვრელი უნდა იყოს არა მხოლოდ ინდივიდის ინტერესები, არამედ მასთან ერთად, ოჯახის, საერთოდ, ერის ფუძემდებლური როლისა და ფუნქციების სწორად გაცნობიერება. ქართული ოჯახი (კომლი) ყოველთვის ასრულებდა როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი, ასევე ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციას და ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერი საყრდენი იყო. ოჯახის პოლიტიზების მკაცრი ხასიათი ხელს უშლის ეროვნული თანხმობის მიღწევას. ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული მწვავე დემოგრაფიული სიტუაციაც.

### „ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“

**— წიგნში ნათქვამია, რომ ქვეყნის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება უნდა დაეკისროს ტრიადას — სახელმწიფოს, მეცნიერებას და ეკლესიას. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს გამოწვეული?**

— დღეს საზოგადოებრივი ურთიერთობების ტრანსფორმაციულ პროცესებში რამდენიმე სუბიექტი მონაწილეობს. მათი როლი სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი. ამჟამად შექმნილი ვითარება მოითხოვს სახელმწიფოს მაკოორდინირებელი როლის გაძლიერებას. რაც შეეხება სტრატეგიის განსაზღვრას, მას თანამედროვე მეცნიერული ცოდნა უნდა დაედოს საფუძვლად. ქართული ეკლესიის როლი განუზომლად დიდია ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. დიდი ილია ამბობდა, რომ ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღმსარებლობა კი არ იყო, იგი ამასთან ერთად იყო პოლიტიკური ქვითკირიც საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. **ასეთ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი აზრით, ეს ის გზაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, როგორც ილია ამბობდა, პიროვნული, ჯგუფური და სახელმწიფოებრივი ინტერესების „ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“.**

ესაუბრა

**ოთარ ხუციშვილი**

◉ 21-ე საუკუნის წვრთნა

# სამხედრო თანამშრომლობის ახალი, შეზღუდული სტრატეგია

**საქართველოში თავისი ბოლოდროინდელი ვიზიტის დროს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თბილისს მისთვის სასურველი, „სამხედრო თანამშრომლობის ახალ ასპექტებთან“ დაკავშირებული ცნობები ჩაუტანა, რომელსაც საქართველოს, შესაძლოა, პირდებოდნენ კიდეც ამ წლის დასაწყისში პრეზიდენტ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის დროს, მაგრამ მაშინ კონკრეტული არაფერი თქმულა.**

ბათუმში სააკაშვილთან ერთად ყოფნის დროს (მანამდე, სანამ ადგილობრივი მეღვინეების ნაწარმს დააგემოვნებდა) მან დააკონკრეტა ის, თუ რას მოიცავს ეს ახალი თანამშრომლობა:

**„ჩვენ წელს მოვილაპარაკეთ ასევე სამხედრო თანამშრომლობის ახალ ასპექტებზე. აშშ უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნას და მხარდაჭერას ქვეყნის სანაპირო და საჰაერო კონტროლის სრულყოფის მიზნით. ჩვენ დავეხმარებით მას, ვერტმფრენთა პარკის განახლებაში, რათა შევუმსუბუქოთ რესპუბლიკას თავის ტერიტორიაზე მგზავრების და ტვირთის ტრანსპორტირება. ჩვენ ვაპირებთ ხელი შევუწყოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებას 21-ე საუკუნის სულისკვეთებით, რაც აუცილებელია ამოცანების განხორციელებისთვის დღევანდელ ცვალებად სამყაროში. ამ სიახლეების რეალიზებით საქართველო უფრო მტკიცე საერთაშორისო პარტნიორი გახდება, აიმაღლებს რა საკუთარ თავდაცვისუნარიანობის დონეს“.**

სახელმწიფო მდივანმა მონაწილეობა მიიღო ასევე ქართული მხარისთვის სანაპირო დაცვის ახალი ქართული კატარღის გადაცემის ცერემონიალში – ის ერთ-ერთია იმ სამ ხომალდს შორის, რომლებიც აშშ-ის დახმარებით განახლდა:

**„მე სიხარულით ვმონაწილეობ იმ საპატრულო კატარღის გადაცემის ცერემონიალში, რომელიც სულ მალე საქართველოს სანაპიროს დაცვის სამსახურში ჩადგება. ეს ხომალდი, მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით და შესაძლებლობებით, ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დადასტურებაა. საქართველო და ამერიკა ერთობლივად მუშაობდნენ მის მოდერნიზებაზე. და მე ვამაყობ იმით, რომ 2009 წელს აშშ-მა 10 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურის დახმარების მიზნით, რათა ის უფრო მდგრადი, დამოუკიდებელი ერთეული გახდეს და შეძლოს ქვეყნის ტერიტორიული წყლების დაცვა და პატრულირება.**

**სამი საპატრულო კატარღის გარდა, ჩვენ ხელი შევუწყვეთ სარემონტო ვერფის აღჭურვას, თვალყურისა და კომუნიკაციის ახალი საშუალებების დანერგვას, ასევე მაღალტექნოლოგიური საზღვაო საინფორმაციო ცენტრის შექმნას. ეს ყველაფერი ხორციელდება საქართველოს საზღვრების უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის ჩვენს მიერ დაგეგმილი მხარდაჭერის ფარგლებში. ეს მოიცავს პოლიციის ახალი სანაპირო განყოფილებების შექმნას მოშორებულ ადგილებში, დოზიმეტრების დამონტაჟებას ყველა პორტში, დამატებითი მოწყობილობის გადაცემას, სასაზღვრო და შეიარაღებულ ძალთა წვრთნას, ნატოსთან კავშირების გაფართოებას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ავღანეთში ჩვენი საერთო მისიის საშუალებით. აშშ ამ პარტნიორობის ერთგულია და მას მომავალშიც გააფართოვებს“.**

ეს ყველაფერი საქართველოსთვის სასარგებლოა, თუმცა ის სულაც არ წარმოადგენს იმ „თავდაცვითი ფუნქციის მატარებელ იარაღს“, რომლის მიღებაც სააკაშვილს სურს, კერძოდ ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებას და საჰაერო თავდაცვის სისტემას. დეტალების არცოდნის ფონზე, გაურკვეველია ისიც, თუ რამდენად წარმოადგენს სიახლეს ეს „21-ე საუკუნის წვრთნა“, რომელიც უკვე გარკვეული პერიოდია, რაც მიმდინარეობს აშშ-ის მიერ იმ ქართული კონტიგენტის მომზადების ფარგლებში, რომელიც ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობს. ხოლო „ნაპირების და საჰაერო სივრცის კონტროლი“, როგორც ჩანს სანაპირო დაცვის დახმარებით შემოიფარგლება, რაზეც ჰილარი კლინტონმა ისაუბრა.

მიუხედავად ამისა, თავად სააკაშვილმა, ჰილარი კლინტონის ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილების ჩამოთვლისას პირველ რიგში ახსენა აშშ-ის მიერ გამოცხადებული პროგრამა „საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესახებ...

თუმცა, კითხვა შემდეგში მდგომარეობს: არის კი ეს ნაბიჯი გადადგმული სამხედრო თანამშრომლობის „ახალი საფეხურისკენ“, რომელზეც, საქართველოს მთავრობის თქმით, ის აშშ-სთან ერთად გადადის, თუ სწორედ ეს არის ის საფეხური (საქართველოსთვისძ, ყველაზე ოპტიმისტურ ვარიანტშიც კი მათ არ უნდა მოსწონდეთ ობამას ადმინისტრაციის აშკარა სურვილი, რომ როგორმე პროცესი გააჭიანუროს.

**Foreignpress.ge**

◉ სიფრთხილეს თავი არა სტკივა

# მართალი... ტყუილი

**ამას წინათ, საღამო ჟამს საგანგებოდ რომ ვემზადებოდი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მორიგი მატჩის ტელევიზიით გადმოცემის საყურებლად, ტელეფონით მირეკავს ერთი ჩემი მეგობარი და სალმისა და მოკითხვის მერე მეუბნება — ჯერ ხომ არ იძინებ, მოსვლა მინდა, კაი რაღაცა უნდა მოგიყვეო!**

უარს როგორ ვეტყოდი, რომელი სასიხარულო ამბებით დახუნძლული ჩვენა ვართ და ისიც მალე გაჩნდა ჩემს კართან. ის იყო, გუნდები გამოვიდნენ, ჰიმნებიც დაუკრეს, თამაშიც დაიწყო და ჩემი სტუმარი ხმას არ იღებს. დარწმუნებული ვარ, არც ერთი არ ვუსმენდით იმ ენამჭევრ ახალგაზრდა კომენტატორს, რომელიც მთელი მონდომებით ცდილობდა რაიმე ახლის თქმას ცნობილი გუნდების საფეხბურთო ისტორიებიდან. კარგა ხანი ველოდი, ალბათ, იმასაც ერთი სული ჰქონდა, თავი მოეხსნა გულისთვის, მაგრამ გადაწყვიტა, გამოვეცადე, ბოლოს ისევ მე ამევსო მოთმინების ფიალა და ცოტა უხეშადაც კი მივმართე – რას უცდი, კაცო, არ უნდა მითხრა შენი კაი ინფორმაცია-მეთქი. გაეცინა, ცისფერ ეკრანს ზურგი შეაქცია და დაიწყო: გასულ კვირას, ჩვენი გოგი თოფაძე თავს დასდგომია ივანიშვილს და მორიდებულად, მაგრამ ულტიმატუმის ენით უთქვამს: ბატონო ბიძინა, თქვენ იცით, რარიგ შეგიყვარათ ჩვენმა ხალხმა და როგორი იმედით შემოგყურებთ მთელი საქართველო, ეს ჩვენი გადარჩენის ბოლო შანსია და ოქტომბერში მარცხი რომ განვიცადოთ, კი მიჭირს ამის თქმა, მაგრამ უნდა გითხრათ, ყველაფერი თქვენ დაგბრალდებათ. ხომ იცით, რუსებთან დამარცხების შემდეგ, რა უთხრა თავის მეეტლეს ნაპოლეონმა — დიდებიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯი ყოფილაო და გადაუჭირა ცხენებს მათრახი. არა და, იმ ერთის წინაალმდეგ ყველა, უკლებლივ ყველა თუ არ დავირაზმეთ, სასწორზე შევაგდებთ ჩვენს ტკბილ ოცნებებს...

მერე იცი, რა პასუხი გაუცია ბატონ ბიძინას? დინჯად ამდგარა, მისთვის ჩვეული ალალი ღიმილით მისულა თოფაძესთან, ძმურად გადახვევია და უთქვამს, დამშვიდი, ჩემო გოგი, ჩვენს ასაკში ნერვიულობას უნდა ვერიდოთო.

რა გითხრათ, ძვირფასო მკითხველო, ჩემთვის ეს სასიამოვნო მოსასმენი გახლდათ; შეიძლება იგი არც შეესაბამება სინამდვილეს, იქნებ, ამ ორი კაი კაცის შეხვედრა სულაც არ შემდგარა და ყველაფერი ტყუილია, მაგრამ... ხომ ახლოა სიმართლესთან?!

ის ღამე მე და ჩემმა მეგობარმა თეთრად გავათენეთ, ღვინოს კი ვწრუპავდით, მაგრამ ორ-ორ ჭიქაზე მეტი არც ერთს არ დაგვილევია. ჩვენ საუბრით დავთვერით.

**ზურაბ შაუთიძე**

◉ ალიან-ჩალიანი

## რუისი-აგარის საავტომობილო მონაკვეთის მოდერნიზაცია დაიწყება

**პროექტის ძირითადი მიზანია, დააკავშიროს ქვეყნის დედაქალაქი და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები**



**დასავლეთ საქართველოში მდებარე ინდუსტრიულ, საპორტო, რეკრეაციულ და ტურისტულ ცენტრებთან.**

**გუშინ, 28 ივნისს საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას (IDA) შორის ხელი მოეწერა დაფინანსების შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიო ბანკის მიერ 27,7 მლნ SDR-ის (დღეის მდგომარეობით დაახლოებით 42 მლნ აშშ დოლარი) გრძელვადიანი და შეღავათიანი ფინანსური რესურსის გამოყოფას რუისი-აგარის საგზაო მონაკვეთის რეკონსტრუქციისათვის.**

**შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ, მსოფლიო ბანკის მხრიდან — რეგიონული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სამხრეთ კავკასიაში ელენე იმნაძემ.**

## 1937 წლის 29 ივნისს...

**სანდრო ახმეტელისა და მისი 4 „თანამოაზრის“ დახვრეტიდან 75 წელი გავიდა. 1937 წლის 29 ივნისს, რეჟისორი სანდრო ახმეტელი და მისი „თანამოაზრეები“ მსახიობები: 54 წლის პლატონ კორიშელი, 33 წლის ელგუჯა ლორთქიფანიძე, 36 წლის გია ქანთარია და 36 წლის ივანე ლაღიძე, დახვრიტეს.**

**მათი დაპატიმრების შესახებ დადგენილება 1936 წლის 5 დეკემბერს გამოიცა.**



**თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს და დასის წევრებს ბრალად დასდეს ჯაშუშური საქმიანობა ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ, ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა და ხელოვნების სფეროში მავნებლური საქმიანობა. გარდა ამისა, სანდრო ახმეტელი დაადანაშაულეს სხვა რესპუბლიკების ეროვნული თეატრების ხელმძღვანელობის საფარქვეშ მეამბოხე სამხედრო დაჯგუფებების შექმნაში და ბაქოში, სოხუმში, გროზნოში, სტალინირსა და საქართველოს რაიონებში, ამ მეამბოხე სამხედრო ჯგუფების მიერ 35 ადამიანის „გადაბირებაში“.**

## ნინო ბურჯანაძე: „ქართულ ოცნებასა“ და „სახალხო კრებას“ შორის თანამშრომლობა შედგა

**თუ „სახალხო კრების“ ლიდერები „ქართული ოცნებისა“ სახელით მაჟორიტარებად კენჭს იყრიან, ეს ნიშნავს იმას, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „სახალხო კრებას“ შორის თანამშრომლობა შედგა, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას „სახალხო კრების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.**



**„ბურჯანაძე არის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი „სახალხო კრების“ და მე ამაყი ვარ ამით. ის რომ „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრი აცხადებს, რომ ჩვენ ვართ ერთიანი და ის, რომ იგივე ლუკა კურტანიძე და სოსო ჯაჭვლიანი, აცხადებენ, რომ სწორედ „სახალხო კრების“ გადაწყვეტილებით იმოქმედებენ და „სახალხო კრების“ წევრებად რჩებიან, ეს ლაპარაკობს სწორედ იმაზე, რომ „სახალხო კრების“ პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არის და იქნება ერთიანი.**

**კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ „სახალხო კრების“, ლიდერების ნაწილი იყრის კენჭს, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ჩვენი საერთო გადაწყვეტილებაა და, შესაბამისად ამ ფორმით, იმ ფორმით, თუ სიღრმისეულად. თუ ნაწილობრივ სიღრმისეულად თანამშრომლობა ჩვენსა და „ქართულ ოცნებას“ შორის შედგა“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.**

**ბურჯანაძე ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს, თუ რა სახით მოხდება თანამშრომლობა „ქართულ ოცნებასთან“, თუმცა არ გამორიცხავს, რომ მაჟორიტარების კანდიდატურებს რამდენიმე ადამიანი კიდევ დაემატოს. „არ არის გამორიცხული რამდენიმე ადამიანის გვარი და სახელი დაემატოს იმ სიას, რომელზეც „სახალხო კრება“ მოლაპარაკებას წარმართავს ბიძინა ივანიშვილთან.**

**მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ უახლოეს ხანებში, თქვენ კიდევ დამატებით მოისმენთ ინფორმაციას“, — განაცხადა ჟურნალისტებთან ბურჯანაძემ.**

## საია ივანიშვილისთვის დაკისრებულ ჯარიმას უკანონოდ მიიჩნევს

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ სასამართლომ ბიძინა ივანიშვილი უკანონოდ დააჯარიმა და სასამართლო პროცესი არ ეფუძნებოდა საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.**

**„ივანიშვილის დაჯარიმება არ იყო კანონის შესაბამისი შემდეგი მიზეზების გამო: შეიზღუდა დაცვის უფლების განხორციელება, გარკვეულ საკითხებზე კონტროლის პალატის პოზიცია არ იყო გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით, არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის არც ერთი მნიშვნელოვანი შუამდგომლობა, — ნათქვამია საიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**როგორც განცხადებაშია ნათქვამი, სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, კერძოდ: სამართალდარღვევის ოქმის შედგენის პროცედურული საკითხების უგულებელყოფა, სასამართლოს სხდომების განრიგი საჯარო არ იყო, განსაკუთრებულად გამკაცრებული იყო უსაფრთხოების ზომები, შეიზღუდა მობილური ტელეფონების, ჩამწერებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების შეტანა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვების მიმართ დიდი იყო სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის დაინტერესება, სასამართლომ აღნიშნული სხდომების გამო კონტროლი გაამკაცრა. სასამართლოს სხდომები საზოგადოების დიდი ინტერესის მიუხედავად უკიდურესად მცირე დარბაზში მიმდინარეობდა.**

**საიას ინფორაციით, სასამართლოში დამკვიდრებული წესის შესაბამისად, თითოეულ მოსამართლეს მიკუთვნებული აქვს კონკრეტული სასამართლო დარბაზი და მისი დავები გამონაკლისების გარდა, მუდმივად იქ განიხილება. ივანიშვილის საქმეებიდან, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგთან“ დაკავშირებული საქმე, რამდენადაც მოსალოდნელი იყო ივანიშვილის 126 მილიონით დაჯარიმება. აღნიშნული საქმის განხილვა დაევალა მოსამართლე კობა გოცირიძეს, რომელიც დავებს განიხილავს ყველაზე მცირე ზომის დარბაზში, სადაც მხოლოდ 8 პირის დასწრებაა შესაძლებელი. დარბაზის სიმცირის გამო განხილვის დღეს დარბაზის კარებთან რიგი შეიქმნა. სხდომის გახსნისთანავე ყველა ადგილი მაშინვე დაიკავეს, რის გამოც ბევრმა ჟურნალისტმა და სხვა დაინტერესებულმა პირმა ვერ შეძლო შესვლა, — ნათქვამია განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესი

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 28 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ინფორმაციაში გაიპარა შეცდომა, კერძოდ 38 სალიცენზო ობიექტი უნდა გამოქვეყნებულიყო შემდეგი რედაქციით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

ქალთა საბჭო ულოცავს!

# „ყველა სიკეთის დედაა ქალი, ქალი სიცოცხლის დედაბოძია“

**შენი ღირსება შენი გულია
ახალგაზრდული შენი იერი,
ორდენი ალბათ ყველა ის დღეა,
როცა იყავი შენ ბედნიერი.
ყველა სიმდიდრეს ის მირჩევნია,
რომ შენს ღირსებას
აფასებს ერი,
ბებია! დედა! ცოლი!
მკურნალი! —
ოთხი ორდენის ხარ კავალერი**

**კოტე ქავთარაძე**
ქ. ათენი, 16 მაისი, 1998 წ.

**ლალი გუჯაბიძე დაიბადა 1947 წ. ქ. ფოთში. 1965 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 62-ე საშ. სკოლა ოქროს მედლით, 1971 წ. სახელმ-**



**წიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. 1972-1989 წ.წ. მუშაობდა თბილისის ბავშვთა №10 პოლიკლინიკის უბნის ექიმად, მოადგილედ — სამკურნალო დარგში, მთავარ ექიმად.**

1989 წელს ქ. თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსია.

1982-81 წ.წ. არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად და ხელმძღვანელობდა ქალთა შრომის დედათა და ბავშვთა დაცვისა და ჯანმრთელობის კომისიებს.

დღემდე არის საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობის წევრი და დედათა და ბავშვთა დაცვისა და ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარე.

აქვს უმაღლესი კატეგორია პედიატრიაში, მინიჭებული აქვს ჯანდაცვის ფრიადოსნის წოდება.

არის ღირსების ორდენის კავალერი.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილიშვილები.

ამჟამად არის „ჯანმრთელობის სახლის“ გენერალური დირექტორი.

ბედნიერია ექიმი, რომელშიც ჰარმონიულად არის შერწყმული პროფესიონალიზმი და მოყვასისადმი სიკეთით, სათნოებით განათებული ჰუმანიზმი, სწორედ ამ თვისებებს ატარებს ქალბატონი ლალი, ექიმი — საკუთარი მოწოდების და თავისი ადგილის მიგნებისთვის ძიებისაკენ.

ქალბატონმა ლალიმ დღემდე განახორციელა და ახორციელებს დროის მოთხოვნათა მრავალ პროექტს, რომლებიც მიმართული იყო და არის სოციალურად დაუცველი, ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახების დამატებით სამედიცინო დახმარების მიმართულებით — **„ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!“**

საქართველოს ქალთა საბჭო ქველმოქმედებას ეწევა და მუშაობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აცნობიერებს რა საქართველოში შექმნილ რთულ სოციალურ ფონდს, ცდილობს, შექმნას საზოგადოებრივი აზრი დროის პრობლემებთან დაკავშირებით, რომლითაც ძირითადად ქალის, დედის, ბავშვის, ხანდაზმულთა მიმართ გამოჩენილ ყურადღებას და ზრუნვას ეხება — ეს კი ყველა ჩვენგანის პასუხისმგებლობაა ერის წინაშე, სწორედ ამ მიმართებით წლების განმავლობაში ქალბატონი ლალი ქალთა საბჭოს გვერდითაა და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აჭარაში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში მართავს საქველმოქმედო აქციებს — დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს. ქალბატონი ლალი ქვეყნისათვის მეტად მძიმე, რთულ პირობებში ერთგულად ემსახურებოდა დევნილთა ჯანმრთელობის მოგვარებას.

* * *

**საქართველოს ქალთა საბჭო ჩვენს წევრს, გამორჩეულად წარმატებულ ქალს ულოცავს დაბადების დღეს და აჯილდოებს საქართველოს ქალთა საბჭოს მედლით.**

საქართველოს ქალთა
საბჭოს გამგეობა
ივნისი 2012 წ.

ფეხბურთი

# ესპანეთი ევროპის ჩემპიონატის ფინალშია



**ევროპის ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრებმა პენალტების სერიაში აჯობა პორტუგალიას და ზედიზედ მეორედ გავიდა ამ ტურნირის ფინალში.**

შეხვედრაში ფავორიტად ევროპის მოქმედი ჩემპიონები ითვლებოდნენ, მაგრამ პორტუგალიამ შეძლო მათი ნახევარდაცვის განეიტრალება და საკუთარ კართან თითქმის არ შეაქმნევინა სახიფათო მომენტი.

აქტიურობდა პორტუგალიის ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ, რომელიც მადრიდის „რეალიდან რამდენიმე თანაგუნდელის წინააღმდეგ თამაშობდა, მაგრამ გუნდებმა ვერ შეძლეს გოლის გატანა ვერც ძირითად 90 და ვერც დამატებით 30 წუთში.

პენალტების სერიაში პორტუგალიელებმა პირველი და მეოთხე დარტყმები გააცუდეს, ხოლო ესპანელებმა პირველი გაცუდების შემდეგ ზედიზედ ოთხი დარტყმა გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელთაგან მეხუთე დარტყმა უწევდა კრიშტიანუ რონალდუს, მაგრამ ესპანეთი ორი გოლით იგებდა და რონალდუ პენალტების სერიაში ფაქტობრივად თამაშგარე აღმოჩნდა.



კალათბურთი

# ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა

**28 ივნისს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელეს.**

**გაფართოებულ სიაში 18 კანდიდატია და მათ შორის ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა. გუნდში არაა შეყვანილი სამი გამოცდილი კალათბურთელი - ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი და გიორგი გამყრელიძე.**



გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრებში ითამაშებს ახალი ამერიკელი გამთამაშებელი კორი ფიშერი, რომლის ნატურალიზაციის პროცესი მალე დასრულდება.

ნაკრები 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას პირველ ივლისს თბილისში დაიწყებს. 17 ივლისს გუნდი ავსტრიაში საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრება.

მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი გუნდს ავსტრიაში შეუერთდება და ასევე მოგვიანებით ჩავა ავსტრიაში ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია.

**ბესიკ ლიპარტელიანი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:** „ახალი მოთამაშის მოსაპოვებლად დიდი შრომა გავწიეთ. მოლაპარაკება გვქონდა 9 კალათბურთელთან და ბოლოს კორი ფიშერზე შევჩერდით, რომელიც მალე საქართველოს პასპორტს მიიღებს. რაც შეეხება, ნაკრების მიღმა დარჩენილ გიორგი გამყრელიძეს, ნიკა ცქიტიშვილსა და ვლადიმერ ბოისას, საქართველოს ღირსების დაცვისთვის მათ დიდ მადლობას გადავუხდი, ვლადიმერ ბოისას კი სათანადო გაცილებას მოვუწყობთ“.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა — გამთამაშებლები:** კორი ფიშერი, გიორგი ცინცაძე, ოთარ ფხაკაძე, რევაზ როგავა. **მსროლელები:** მანუჩარ მარკოიშვილი, ბესიკ ლეჟავა, მერაბ ბოქოლიშვილი, დუდა სანაძე. **მსუბუქი ფორვარდები:** ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, ლევან ფაცაცია. **მძიმე ფორვარდები:** თორნიკე შენგელია, აკაკი დვალიშვილი, ნიკა მეტრეველი, ბექა ბექაური. **ცენტრები:** ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი.

**მთავარი მწვრთნელი:** იგორ კოკოშკოვი (სერბეთი) მწვრთნელები: დავით უსტიაშვილი, კოტე ტულუში.

# ისრაელთან კვლავ დამარცხდნენ

**საქართველოს 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრებმა ვაკის საკალათბურთო დარბაზში 27 ივნისს მეორე ამხანაგური შეხვედრა გამართა ისრაელთან და კვლავ დამარცხდა.**

**სტუმრებმა 20 ივნისს 77:54 დაამარცხეს ქართველები, 27ივნისს კი დავით უსტიაშვილის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა მეტოქეს მეტი წინააღმდეგობა გაუწია და შეხვედრა 78:88 დათმო.**

**მეორე თამაში უფრო თანაბარი გამოვიდა და ახალგაზრდა ქართველები თითქმის ბოლომდე ინარჩუნებდნენ გამარჯვების შანსს, ბოლოსწინა წუთზე მხოლოდ 3 ქულით აგებდნენ, მაგრამ ისრაელმა მატჩის დასკვნითი ნაწილი კვლავ უკეთ ჩაატარა.**

დუდა სანაძე, საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრების მოთამაშე: „დღეს უკეთესად ვითამაშეთ და გამარჯვების შანსიც გვქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში აღარ გაგვიმართლა. მარცხის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ახალი დასრულებული გვაქვს ფიზმომზადების კურსი და ძალების აღდგენა სრულად ვერ მოვასწარით. ახლა მზადებას გავაგრძელებთ და შემდეგ ესტონეთში გავემგზავრებით, სადაც, მჯერა, რომ აუცილებლად გავიმარჯვებთ“.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები კიდევ ორ სპარინგ-მატჩს გამართავს, 5 და 6 ივლისს სტუმრად დაუპირისპირდება ესტონეთის ამავე ასაკის ნაკრებს, 12 ივლისიდან კი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩაერთვება.

**თბილისი. 27 ივნისი. კალათბურთის აკადემიის დარბაზი. ამხანაგური შეხვედრა**

**საქართველო 78:88 ისრაელი**

**საქართველო:** ფხაკაძე (7ძ, სანაძე (23ძ, ბოქოლიშვილი (21ძ, ბურჯანაძე (17 ქულა, 14 მოხსნაძ, ლომინეიშვილი; ტეტელაშვილი (2ძ, თენიეშვილი (5ძ, ალხანაიძე (3ძ, როგავა.

**მთავარი მწვრთნელი:** დავით უსტიაშვილი.

**ისრაელი:** ტიმორი (20ქძ, ლავი (17ძ, დოუსენი (14ძ, ბლაიზერი (12ძ, ელიასპური (9ძ, მაიორი (7ძ, ავრამოვიჩი (2ძ, არიელი (3ძ, ალტიტი (4ძ.

**მთავარი მწვრთნელი:** შარონ დრუკერი.




ინფორმაცია

## „მასთ ქერისთან„ დაკავშირებით კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით ერთხმად მიიღო

**ე.წ. „მასთ ქერისთან„ დაკავშირებით კანონპროექტი პარლამენტმა გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე, პირველი მოსმენით, 81 ხმით, ერთხმად მიიღო.**

**კანონპროექტის თანახმად, „საარჩევნო კოდექსის„ 51-ე მუხლს მე-17 პუნქტი ემატება. კერძოდ, საერთო არჩევნების გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლიდან არჩევნების დღემდე პერიოდში, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი, ვალდებულია, მომხმარებლისთვის შეთავაზებულ პაკეტში განათავსოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და „მაუწყებლობის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული ყველა საერთო მაუწყებელი, რომელიც მაუწყებლობს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მომსახურების მიწოდების ზონაში. ამ პუნქტის სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიით მაუწყებლობის არეალს წარმოადგენს ქვეყნის მთელი ტერიტორია. ამ შემთხვევაში მაუწყებელს არ წარმოეშვება ტრანზიტული გავრცელებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.**

**ცვლილებას პარლამენტი ხვალისთვის დაგეგმილ რიგგარეშე სხდომაზე მეორე და მესამე მოსმენით განიხილავს და კენჭს უყრის.**

ინტერპრესნიუსი

## ჩვენი კარაბადინი

# უცნაური ექიმები

## ბევრი ცნობილი ექიმი თანამედროვეებს უცნაურებად ეჩვენებოდათ

### ჰიპოკრატე



**მედიცინის მამას ცხიმი ნებისმიერი დაავადების წყაროდ მიაჩნდა. ამიტომ ყველა პაციენტს უკლებლივ, უწინარეს ყოვლისა, ურჩევდა ხოლმე შიმშილის დიეტას.**

ფილტვებით დაავადებულ პაციენტებს დიდი მკურნალი აგზავნიდა ვეზუვის ფერდობზე, სადაც ისინი „განსაკუთრებული" ჰაერით სუნთქავდნენ. ჰიპოკრატეს საყვარელი მცენარე კი ალოე იყო. მას სერიოზულად მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ინდოეთის კუნძულ სოკოტრას დაპყრობა, რომ ხელში ჩაეგდოთ ალოეს პლანტაციები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ჰქონდათ გაშენებული.

### თეოფრასტ პარაცელსი

**შუა საუკუნეებისდროინდელი ექიმი ფილიპ აურეოლ თეოფრასტ ბომბასტ ფონ ჰოგენგეიმი გამოირჩეოდა დიდი პატივმოყვარეობით. მას თავი დიდ მკურნალად და მედიცინის მცოდნედ მიაჩნდა, ამიტომ აირჩია ფსევდონიმი პარაცელსი, რაც „ცელსის ტოლს" ნიშნავს. ანტიკური ფილოსოფოსი და ექიმი ავლა ცელსი თეოფრასტ ჰოგენგეიმს მიაჩნდა ლამის ერთადერთ ადამიანად, ვინც ერკვეოდა მედიცინაში. დანარჩენი თავისი კოლეგების ავტორიტეტს პარაცელსი არ აღიარებდა. ის დემონსტრაციულად იყრიდა ფეხქვეშ და თელავდა ავიცენასა და ჰიპოკრატეს შრომებს, თან ამ დროს გაიძახოდა: „ჩემს ფეხსაცმელებს მეტი ესმით მედიცინაში, ვიდრე ამ ექიმებს".**

ის წინ აღუდგა შუა საუკუნეებში ყველგან გავრცელებულ ჭრილობათა ამოწვის ხერხს, როდესაც მათ მდუღარე ბალზამს ასხამდნენ, დაჟინებით მოითხოვდა მათზე სუფთა შესახვევის დადებას, რათა ჭრილობები „დაცული ყოფილიყო გარეშე მტრებისგან". პარაცელსი პირველი მივიდა იმ აზრამდე, რომ მედიცინის სამსახურში ჩაეყენებინათ ქიმია და დაიწყო ავადმყოფობების მკურნალობა რკინის, ტყვიისა და ვერცხლისწყლის პრეპარატების გამოყენებით (უკანასკნელი მან წარუმატებლად გამოიყენა ათაშანგის სამკურნალოდ).

### ზიგმუნდ ფროიდი



**ბევრი უცნაურობა ახასიათებდა ფსიქოანალიზის ფუძემდებელს.**

ფროიდს პანიკურად ეშინდა რიცხვისა 62. ის უარს აცხადებდა დაეჯავშნა სასტუმროში ნომერი 62-ს ზევით, ვინაიდან ეშინოდა, რომ მიიღებდა ოთახს სწორედ ამ ნომრით. პაციენტებთან ურთიერთობის საფირმო ხერხი, როდესაც ავადმყოფი წევს ტახტზე, ექიმი კი მის უკანაა, ექიმმა ფროიდმა მოიფიქრა იმიტომ, რომ ეშინოდა ადამიანებისთვის თვალებში შეხედვისა.

### ლუი პასტერი

**პასტერის გამოკვლევებს აფინანსებდა ერთი ლუდის ქარხანა. სწორედ მათ გადაუხადეს მას ბილეთის ფასი საერთაშორისო კონგრესზე. როდესაც კონგრესზე პასტერს მისცეს სიტყვა, მან დაიწყო სცენაზე ლუდის სარეკლამო პლაკატების განთავსება, გამოსვლა კი დაიწყო სიტყვებით, რომ ეს ლუდი ყველაზე საუცხოოა. მხოლოდ მერე გადავიდა საქმეზე. მეცნიერები მეტად გაოცებული იყვნენ.**

ერთხელ ლუი პასტერი ლამის დუელის მონაწილე გახდა. სახელგანთქმული ექიმი ლაბორატორიაში ყვავილის ბაქტერიის კულტურას იკვლევდა. მოულოდნელად მასთან უცნობი მივიდა და თავი წარუდგინა, როგორც ერთი იმ დიდებულის სეკუნდატმა, რომელსაც მოეჩვენა, რომ მეცნიერმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. დიდებული დუელში გაწვევას, მოითხოვდა. პასტერმა მოუსმინა შუამავალს და თქვა: „რახან მე მიწვევენ დუელში, უფლება მაქვს, ავირჩიო იარაღი. აი, აქ არის ორი კოლბა: ერთშია ყვავილის ბაქტერია, მეორეში – სუფთა წყალი. თუ ის, ვინც თქვენ გამოგაგზავნათ, დათანხმდება ერთ-ერთი ნებისმიერი მათგანის დალევას, მე შევსვამ მეორეს. დუელი არ შედგა.

### ნიკოლაი პიროგოვი

**სახელგანთქმულმა ქირურგმა დიდი ხნით ადრე თავის ქორწილამდე გადაწყვიტა, ეზრუნა იმისთვის, თუ როგორ გაატარებს თაფლობის თვეს მომავალი ცოლის მამულში.** მან საცოლეს სთხოვა მოეძებნა ოლქში ავადმყოფები და დასახიჩრებულები, ვისაც ოპერაცია სჭირდებოდა. „მუშაობა დაატკბობს სიყვარულის პირველ ხანებს", – წერდა იგი.

### ავიცენა

**როდესაც ავიცენას ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა, მისი სახელი, როგორც ექიმისა, უკვე იმდენად დიდი იყო, რომ ჭაბუკი ბუხარას დაავადებული ემირის სამკურნალოდ მიიწვიეს. ახალგაზრდა ექიმის სწორი მოქმედების წყალობით, ემირმა მალე დაიწყო გამოჯანმრთელება. ხოლო როდესაც მმართველმა ჰკითხა მას, თუ რა ჯილდო უნდა ავიცენას თავისი მომსახურეობისთვის, ჭაბუკმა უპასუხა, რომ მას არაფერი სჭირდება გარდა ნებართვისა – ისარგებლოს ემირის უნიკალური ბიბლიოთეკით.**

რამდენიმე წლის შემდეგ ქუჩის უწესრიგობის დროს ემირის უზარმაზარი ბიბლიოთეკა დაიწვა – იმ ხანებში ბუხარაში უწესრიგობა იყო, ხალხი ხელისუფლების უკმაყოფილო იყო, ქალაქში ყოველდღე მღელვარებანი სუფევდა. მაგრამ, რამდენადაც ეს უცნაური უნდა იყოს, ბიბლიოთეკისთვის ცეცხლის წაკიდებაში ბრალი ახალგაზრდა ექიმს დასდეს – ამბობდნენ, რომ ავიცენას უნდოდა არავის წაეკითხა ძველი წიგნები და არ გამხდარიყო მასავით ბრძენი.

### ჩარლზ დარვინი

**მომავალი დიდი მეცნიერი როდესაც ედინბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, ლექციები მოსაწყენად მოეჩვენა, პრაქტიკული მეცადინეობანი მკაცრად და სწავლას თავი დაანება. მამამისი მეტად გაწბილებული დარჩა, თავად ჩარლზმა კი გადაწყვიტა, რომ აწ და მარადის მისი მოწოდება ტაქსიდერმიააო, ესე იგი ჩუჩელების დამზადება. მაგრამ არც ამით მოგვარდა საქმე.** ახლა დარვინს უფრო მეტად ნადირობა და ცხენით სეირნობა იზიდავდა. და კიდევ იყო ერთი საკმაოდ უცნაური გატაცება – ენტომოლოგია. დარვინი სერიოზულად გაიტაცა იშვიათი მწერების ძიებამ. „ერთხელ, როდესაც ხეს ძველ კანს ვაცლიდი, ორი იშვიათი ხოჭო დავინახე და ორივე თითო ხელით დავიჭირე, მაგრამ იქვე დავინახე მესამე, რაღაც ახალი სახეობა, რომლის გაშვებაც არაფრით მინდოდა და ის ხოჭო, რომელიც მარჯვენა ხელში მეჭირა, პირში ჩავიდე. ვაიმე! მან გამოუშვა რაღაც განსაკუთრებულად მწვავე სითხე, რომელმაც ისე დამწვა ენა, რომ იძულებული გავხდი გადმომეფურთხებინა ხოჭო, და მე ის დავკარგე, ისევე როგორც მესამე", – წერდა მეცნიერი თავის მოგონებებში.

### ავლიპი ზურაბაშვილი

**ვინ არ იცნობს დიდ ქართველ მეცნიერს, ფსიქიატრსა და ნეირომორფოლოგს, მის უამრავ დიდმნიშვნელოვან გამოკვლევას და... ძალიან, ძალიან ბევრ**



**უცნაურობას, რასაც იგი ზოგჯერ განგებაც სჩადიოდა, რომ მსმენელი გაეოცებინა და ეჭვებიც წარმოექმნა.** ამჯერად მის მხოლოდ ერთ გამონათქვამზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ერთ-ერთი გამოსვლის დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების წინაშე მან თქვა: „მე ძალიან მიყვარდა ჩემი მშობლები, განსაკუთრებით დედა და მამა".

მოამზადა
**ნანა თედიაშვილმა**

## ინფორმაცია

### 36 წლის მამაკაცს მეხი დაეცა

**გორის** რაიონის სოფელ ქვემო ფხვენისში მეხის დაცემის შედეგად 36 წლის მიხელ ლაცაბიძე დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციით, ლაცაბიძეს მეხი საკუთარ ნაკვეთში მუშაობის დროს დაეცა.

ლაცაბიძესთან ერთად მყოფმა ახალგაზრდა მამაკაცმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

ქვემო ფხვენისში მოსულ ძლიერ წვიმას სეტყვაც მოჰყვა.

სტიქიამ, რომელიც 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, ადგილობრივებს სასოფლო-სამეურნეო ნათესები გაუნადგურა.

### პატარა მდინარეებში წყალმოვარდნები და ნიაღვრებია მოსალოდნელი

**ორი** დღის განმავლობაში საქართველოს პატარა მდინარეებში წყალმოვარდნები და ნიაღვრებია მოსალოდნელი. როგორც „ინტერპრესნიუსს" გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდროპროგნოზირების განყოფილების უფროსმა ქეთევან წიკლაურმა განუცხადა, დღეს და ხვალ საქართველოში მოსალოდნელია ძლიერი წვიმები, რის შედეგადაც ქვეყნის მთიანი მხარის პატარა მდინარეებსა და ხევებში მოსალოდნელია წყალდიდობა და ნიაღვრები.

მისივე თქმით, დღეს ეს პროცესი მოსალოდნელია უფრო დასავლეთ საქართველოს პატარა მდინარეებში, ხოლო ხვალ – აღმოსავლეთ საქართველოში.

სინოპტიკოსების ინფორმაციით, უახლოესი 3-4 დღის განმავლობაში მთელ საქართველოში გრილი და წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი.

ინტერპრესნიუსი

---

ენვერ ჩიქავა, გურამ გუნავა ოჯახებით იუწყებიან ბრწყინვალე ქალბატონის

**ლია რატიანის**

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ მეგობარსა და ახლობელს კარლო წულაიას ძვირფასი მეუღლის გარდაცვალების გამო.

---

მამიდა რუსუდანი, მამიდაშვილები მზია, ზეინაბი, მედეა, გიორგი წინწკალაძეები, ზურაბ, ლია ველიჯანაშვილები, ვენერა მჭედლიშვილი, ბიძაშვილები ლეილა, რობერტი, ნელი მელიქიძეები მწუხარებით იუწყებან, რომ გარდაიცვალა

**გურამ მელიქიძე**

პანაშვიდი 29, 30 VI, 17 სთ. დაკრძალვა 1, VII, 15 სთ. მისამართი: ანა ანტონოვსკაიას 9.

---

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი სპეცნომერი რვაგვერდიანია**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24